

ს. არის იმ გუნდათ ზეინი კანონთა კანონი
ჩვენი კონსტიტუციითა კონსტიტუცია. ამი-
ტომ ეს დიდებული აქტი, რომელიც შემდეგ
საქართველოს დამფუძნებელ კრებამ მიიღო
და დადასტურა 1919 წლის მარტის 12, ერ-
თიანდ უნდა შევიდეს საქართველოს კონსტი-
ტუციაში, როგორც შესავალი კარი, რაც სა-
ხელწოდების დაფუძნების აქტს დაუკავშირებს
საკონსტიტუციო კანონმდებლობას და მთლი-
ან ხასიათს მისცემს მთელ კონსტიტუციას.

ეს დამოუკიდებლობის აქტი, როგორც
ფი მიიღო, დადასტურა და გამაჰქვეყნა ყუ-
და თავის წიგნითა ბელმოწერით საყოველთაო,
პირდაპირ, თანასწორი, ფარული და პრო-
პორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ სა-
ქართველოს დამფუძნებელმა კრებამ:

საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არ-
ჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო,
ფარული და პროპორციონალური საარჩევნო
სისტემით ორადე სტრუქტურის მოქალაქეთა მიერ, —
თავის პირველადე სხდომაზე, 1919 წ. მარ-
ტის 12 ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე
აღიარებს, რომ ის საგნებით იღებს და დას-
ტურებს საქართველოს საბჭოს მიერ 1918 წ.
მაისის 26 ს, ნაშეადღევს 5 ს. და 10 წ.
ტერიტორიის გამოცხადებულს საქართველოს
დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი:
მრავალ საუკუნეთა გამაგლობაში საქარ-
თველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებ-
დი და თავისუფალი სახელმწიფო.

ამეთრამეტე საუკუნას დასასრულს ყოველ
შხით მტრისაგან შევიწროებული საქართვე-
ლო თავის ნებით შეუკრდა რუსეთს იმ
პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო სა-
ქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლიუციის მსელე-
ლობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წკობილები
შექმნა, რომ მთელი სიოზარი ფრონტი სრუ-
დად დაიშალა და რუსის ჯარისც დაუბნე-
ვიერ კავკასია.

დარჩენე რა თავის ძალღონის ამარად,
საქართველომ და მასთან ერთად ამიერ კავ-
კასიამ თავი იდევს თავს საკუთარი საქებების
გაძლოდა და პატრონობა და შესაფერი ორ-
განობიცი შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა
ზედგავლენით ამიერ კავკასიის ერთა შესაერ-
თებელი კეშირი დაიბრუნა და მათ ამიერ-
კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაი-
შალა.

საქართველი ერის დღევანდელა მდგომარე-
ობა იუცილებლად მოითხოვს, რომ საქარ-
თველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანი-
ზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძა-
ლის მიერ დაპყრობისაგან თავი გადამარჩინოს
და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე სა-
ფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნუ-
ლი საბჭო, 1917 წლის ნოემბრის არჩეული,
საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, აც-
ხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ძალბა სუვე-
რენულ უფლებათა მატარებელია და საქარ-
თველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სა-
ხელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლი-
ტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლი-
კია.

3) საერთაშორისო ომინობაში საქართვე-
ლო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბ-
ლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის
ყველა წყურთან კეთილმეზობლური განწყობი-
ლება დაამყაროს, განაკუთრებით კი მოსახ-
დურ სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზ-
რუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო
და პოლიტიკურ უფლებებს განუჩევილად
ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ
მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს
გაუბნის მის ტერიტორიაზე მოსხლელ ყველა
ერს.

7) დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთე-
ლის საქართველოს მართვა გამგეობის საქმეს
უძღვეს ეროვნული საბჭო, რომელიც შეეს-
ბული იქნება ეროვნულ ღმცირესობათა წარ-
მომადგენლობით, და დროებითი მთავრობა
პალესისკრებელი საბჭოს წინაშე.

ამ გვარით საქართველომ თავის დამფუძნე-
ბელი კრების სახით იცნო თავის თავი, რა-
გორც დამოუკიდებელი სახელმწიფო დემოკ-
რატიულ რესპუბლიკანური წესწყობილებით.
თავის თავად ცხადია, რაკი დამფუძნებელმა
კრებამ იცნო, დადასტურა და დიდას ხე-
ქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მიღ-
ებული საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ,
ამით მან 80 years იცნო და დადასტურა ყო-
ველფე ის, რაც მოიმოქმედა უერ ეროვნ-
ულმა საბჭომ და შემდეგ საქართველოს პარ-
ლამენტმა თავის საკანონმდებლო მოღვაწე-
ობით შემოსხუნებული აქტის ძალით. მასეა-
დამე სულ ზედმეტი უნდა ყოფილიყო ამ სა-
კანონმდებლო ორგანოს (ეროვნულმა საბჭომ
საქართველოს პარლამენტი დაიჭვა) მიერ
მიღებული კანონების ცალკეუკ ან ერთად
დადასტურება დამფუძნებელი კრების მხრით.

ამ წინაწარი შენიშვნების შემდეგ დაუხ-
ლოდდეთ საგანს და გაგითვისწინათ რეს-
პუბლიკების ძირითადი ტიპური ფორმები და
სათანადო უფლებრივი კალპორტი და აგებუ-
ლება მოეუნებოთ საქართველოს დემოკრატი-
ულ რესპუბლიკას, როგორც სახელმწიფოებ-
რეობის კონსტიტუციონურ ფორმას.

(შემდეგი იქნება)

2. საუვარელოდ.